ხელშეკრულება № 741.

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2013წ

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

დაიდო, ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი") გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, ს.ს"ჯი პი სი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის დავით კილაძეს სახით, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

2.1. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" B ჰეპატიტის კონფირმაციის ტესტების შესყიდვა თანდართული დანართის შესაბამისად (CPV-33600000).

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის „გ"ქვეპუნქტი.

3.2. "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება.

3.3 ,,იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2012 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2013 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე და ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №482 დადგენილება (შემდგომში,,დადგენილება").

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8496 (რვაათასოთხასოთხმოცდათექვსმეტი) ლარს.

5. ხელშეკრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ, სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და საამისოდ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი.

6. შეფუთვა

6.1. მისაწოდებელი „საქონელი" შეფუთული უნდა იყოს დადგენილი ნორმების დაცვით.

6.2. „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია „შემსყიდველის" წინაშე „საქონლის" ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში.

7. "საქონლის" მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

7.1. „საქონელის" მიწოდება განხორციელდება „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

7.2."საქონლის" მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად INCOTERMS-2010-ით დადგენილი წესების თანახმად, პირობის-DDP თბილისი ,ქ.თბილისი მ.ასათიანის ქ.№9.

7.3. „საქონლის" მიწოდებისას „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

7.3.1. „მიმწოდებლის" სასაქონლო ზედნადები „საქონლის" აღწერით , „საქონლის" რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია;

7.3.2.მწარმოებლის ან „მიმწოდებლის" საგარანტიო(ხარისხის) სერთიფიკატი;

7.4."მიმწოდებელმა„ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა „საქონლის" დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე . პასუხისმგებლობა „შემსყიდველის" მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება „მიმწოდებელს".

7.5"მიმწოდებელმა" ხელშეკრულებით განსაზღვრული „საქონლის" მიწოდება უნდა განახორციელოს ერთჯერადად „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდრული დღის განმავლობაში.

7.6. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს „საქონლის" მიწოდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით.

7.7. ფაქტიურად მოწოდებული „საქონლის" მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან/და საამისოდ გამოყოფილი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტით (რომელიც შედგენილი იქნება მოწოდებული „საქონლის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის და შესაბამისი საერთო ფასის მიხედვით).

8. „საქონლის" ვარგისიანობის ვადა

8.1 საქონლის ვარგისიანობის ვადა მოწოდების მომენტისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების თანდართული დანართის შესაბამისად.

8.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია მიწოდებული „საქონლის" წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 45 დღეში განახორციელოს წუნდებული „საქონლის" შეცვლა „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშწორება, ლარებში, „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ერთეულის ფასის შემცირება;

ბ)საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

10.3. ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

ამასთან ნებისმიერ დროს შესაძლებელია ხელსეკრულების მოქმედების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით იმ შემთხვევაში , თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებაზე, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად ან/და შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის საჯარიმო სანქციის ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენებას.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილისა შეწყვიტოს ხელშეკრულება „საქონლის" ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-14 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;

11.2. "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული „საქონლის" ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

11.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" „საქონელის" ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

11.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის „საქონლის" მიწოდება „შემსყიდველისათვის" ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 "საქონლის" მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მოსაწოდებელი „საქონლის" ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.2. ხელშეკრულების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პიგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

12.3.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12.5. პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.6. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობოთი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

13. ფორს-მაჟორული სიტუაცია

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

13.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს

მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან/და 16.2 პუნქტის შესაბამისად .

14.2.ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა, ხოლო 16.2 პუნქტით არსებული გარემოებების შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება ავტომატურად, შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე.

14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. მარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2."შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვითონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს ნებისმიერ სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 20 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.2 ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს (შეწყდეს) 2013 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების ან/და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენისას.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობენ გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ვნობილი მოერე მხარის კონფინდენციალური ინფორმაცია.

17.4 ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მოერე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, ან მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელსეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“

17.7. წინამდებარე ხელსეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში , თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ მ. ასათიანის ქ.9 საიდენტიფიკაციო კოდი 211324351 ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE64TB0600000000345017 გენერალური დირექტორი	ს.ს“ჯი პი სი“ ქ.თბილისი მარჯანიშვილის №26 ფაქტ/მის:თბილისი სანაპიროს ქ.№6 საიდენტიფიკაციო კოდი სს „თიბისი“ბანკი ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE05TB1100000002467883 დირექტორი
________________ ამირან გამყრელიძე ბ.ა.	________________ დავით პილაძე ბ.ა.

№	შესყიდვის ობიექტი	სპეციფიკაცია	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	იანბმის ვადა
1	HBs Confimation SCONF.CE 20 tests, EIISA	ნაკრები HBs Ag კონფირმაციისთვის იმუნოფერმენტული ანალიზის მოთოდით, გათვალისწინებული 40 ტესტზე(ნაკრებს უნდა ახლდეს ტესტის გასაშვები 96 მიკრო უჯრედული პლანშეტი, შესაბამისი რექტივებით) სენსიტიურობა 100%; სპეციფიურობა არანაკლებ 99%.	კოლოფი	36	157.5	5670	სრული ვადი არანაკლებ 80%
2	HBs Ag one step-SAGI.CE.96-96 TESTS,EIISA		კოლოფი	18	157	2826	
						სულ: 8490 ლარი	

სს "ჯი პი სი"
ს/კ201991229
ქ.თბილისი მარჯანიშვილის №26
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE05TB1100000002467883
დირექტორი
დავით კილაძე